სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
330.010.000.22.024.009.139

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების

**მინისტრის ბრძანება №1-1/823**

**2006 წლის 24 აგვისტო**

**ქ. თბილისი**

## განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესის დამტკიცების შესახებ

„მშენებლობის პროექტების სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესი".

1[1]. დამტკიცდეს თანდართული „ექსპერტობის კანდიდატის სარეგისტრაციო ფორმა" (დანართი №2)".

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 14 სექტემბრის ბრძანება №1-1/1800 - ვებგვერდი, 18.09.2012 წ.*

2. ბრძანების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს მინისტრის მოადგილეს გენრიხ მურადიანს.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ი. ჩოგოვაძე**

**შეტანილი ცვლილებები:**

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 18 ივნისის ბრძანება №1-1/923 - სსმ III, №91, 28.06.2007წ., მუხ.985
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 20 აპრილის ბრძანება №1-1/629 - ვებგვერდი, 28.04.2011 წ.
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 14 სექტემბრის ბრძანება №1-1/1800 - ვებგვერდი, 18.09.2012 წ.

## განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესი

**მუხლი 1. წესში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

ა) „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების, მშენებლობის განხორციელების ეტაპების, არსებული შენობა-ნაგებობზების ან/და მათი ნაწილების სავალდებულო ექსპერტიზა – განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების სავალდებულო ექსპერტიზას დაქვემდებარებული მშენებლობის პროექტების, მშენებლობის განხორციელების ეტაპების, არსებული შენობა-ნაგებობის ან/და მათი ნაწილების ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა და ერთმნიშვნელოვანი დასაბუთებული დადებითი ან უარყოფითი დასკვნის გაცემა;

ბ) ექსპერტის კანდიდატურის შემთანხმებელი ორგანოები – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (შემდგომში – შემთანხმებელი ორგანო);

გ) მშენებლობის პროექტის ექსპერტი (შემდგომში ექსპერტი) – სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეციალობის უმაღლესი საინჟინრო განათლება, აქვს სპეციალობით საპროექტო ან/და კვლევითი მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟი და ბოლო 5 წლის პერიოდში განხორციელებული აქვს მსგავსი ტიპის შენობა-ნაგებობების მშენებლობის დაპროექტების ან/და მშენებლობის პროექტების საექსპერტო სამუშაოები;

დ) მშენებლობის განხორციელების ეტაპების ექსპერტი (შემდგომში – „ექსპერტი") – სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეციალობის უმაღლესი საინჟინრო განათლება, აქვს სპეციალობით საპროექტო ან/და კვლევითი ან/და მშენებლობის განხორციელების ან/და მშენებლობის საზედამხედველო სამუშაოების განხორციელების არანაკლებ 10 წლის სტაჟი და ბოლო 5 წლის პერიოდში განხორციელებული აქვს შენობა-ნაგებობების დაპროექტების ან/და კვლევითი ან/და მშენებლობის განხორციელების ან/და საზედამხედველო ან/და მშენებლობის განხორციელების ეტაპების სამუშაოები;

ე) არსებული შენობა-ნაგებობების ან/და მათი ნაწილების ტექნიკური მდგომარეობის გამომკვლევი ექსპერტი (შემდგომში – „ექსპერტი") – სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეციალობის უმაღლესი საინჟინრო განათლება, აქვს სპეციალობით საპროექტო ან/და კვლევითი მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟი და ბოლო 5 წლის პერიოდში განხორციელებული აქვს შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევის სამუშაოები.

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 14 სექტემბრის ბრძანება №1-1/1800 - ვებგვერდი, 18.09.2012 წ.*

**მუხლი 2. ექსპერტიზას დაქვემდებარებული ობიექტები**

ექსპერტიზას ექვემდებარება განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტები, რომლებიც განისაზღვრება "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით.

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 14 სექტემბრის ბრძანება №1-1/1800 - ვებგვერდი, 18.09.2012 წ.*

**მუხლი 3. სამშენებლო საქმიანობის სავალდებულო საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული სახეები და სავალდებულო საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების ნაწილები**

1. სამშენებლო საქმიანობის სავალდებულო საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული სახეებია:

ა) მშენებლობის პროექტების ნაწილების საექსპერტო შეფასება;

ბ) მშენებლობის წარმოების ეტაპების საექსპერტო შეფასება;

გ) არსებული შენობა-ნაგებობის ან/და მათი ნაწილების საექსპერტო შეფასება.

2. სავალდებულო საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების ნაწილებია:

ა) საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება;

ბ) ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება;

გ) მშენებლობის პროექტების ტექნოლოგიური ნაწილების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საექსპერტო შეფასება.

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 14 სექტემბრის ბრძანება №1-1/1800 - ვებგვერდი, 18.09.2012 წ.*

**მუხლი 4. ექსპერტიზის ჩატარების პროცედურა**

1. მშენებლობის ნებართვის მაძიებელი ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოების II სტადიაზე საპროექტო დოკუმენტაციასთან ერთად ნებართვის გამცემ ორგანოში წარადგენს ექსპერტთან (საექსპერტო ორგანიზაციასთან) გაფორმებულ ხელშეკრულებას.

2. ნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენილ უნდა იქნეს №2 დანართით განსაზღვრული ექსპერტობის კანდიდატის მიერ შევსებული სარეგისტრაციო ფორმა თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომლებიც ორი სამუშაო დღის ვადაში გადაიგზავნება შემთანხმებელ ორგანოში, კერძოდ:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) პირადი ინფორმაცია (CV);

გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი, სერტიფიკატები);

დ) ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ;

ე) დადასტურებული/დამოწმებული ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ, ობიექტის დასახელების და მისამართის მითითებით;

ვ) ექსპერტობის კანდიდატის დეკლარაცია, მოწოდებული ინფორმაციის სისწორის შესახებ.

3. შემთანხმებელი ორგანო ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ცნობების წარმოდგენიდან 5 დღის ვადაში:

ა) იხილავს წარმოდგენილი ექსპერტობის კანდიდატის მონაცემებს, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს პირველი მუხლის „გ'', „დ'', ან „ე'' ქვეპუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ბ) საჭიროების შემთხვევაში სამინისტრო ატარებს ექსპერტობის კანდიდატთან გასაუბრებას.

4. ექსპერტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სრულყოფილი ინფორმაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, შემთანხმებელი ორგანო წერილობით ითანხმებს ექსპერტის კანდიდატურას.

4[1]. ყოველი კონკრეტული განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის პროექტის, მშენებლობის განხორციელების ეტაპის, არსებული შენობა-ნაგებობების ან/და მათი ნაწილების სავალდებულო ექსპერტიზის განსახორციელებლად ექსპერტობის კანდიდატმა უნდა შეავსოს სარეგისტრაციო ფორმა.

5. ექსპერტიზის ღირებულებას ანაზღაურებს ნებართვის მაძიებელი.

6. ექსპერტი ნებართვის მაძიებელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შეისწავლის პროექტს და ნებართვის გამცემს წარუდგენს დასაბუთებულ დადებით ან უარყოფით საექსპერტო დასკვნას.

7. ნებართვის მაძიებელს უფლება აქვს მიიღოს ახსნა-განმარტებები და დამატებითი ინფორმაცია ექსპერტისაგან და გაიაროს მასთან კონსულტაციები. კონსულტაციების შედეგად პროექტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია, თუ იგი არ საჭიროებს ნებართვის გაცემის რომელიმე სტადიაზე ხელახალ შეთანხმებას, წარედგინება ნებართვის გამცემს.

8. საექსპერტო დასკვნა უნდა შეიცავდეს ექსპერტიზის ჩატარების მეთოდს, შენიშვნებისა და დადებითი შეფასების დასაბუთებას. საბოლოო დასკვნა უნდა იყოს ერთმნიშვნელოვნად დადებითი ან უარყოფითი.

9. მაძიებლის მიერ საექსპერტო დასკვნის წარმოუდგენლობა არის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

10. შემთანხმებელი ორგანო აწარმოებს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების სავალდებულო ექსპერტიზას დაქვემდებარებული ნაწილების ექსპერტიზის ჩამტარებელ ექსპერტთა მონაცემთა ბაზას, მატრიცის შესაბამისი სპეციალობის მიხედვით (მატრიცა – დანართი N №1).

*საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 18 ივნისის ბრძანება №1-1/923 - სსმ III, №91, 28.06.2007წ., მუხ.985*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 20 აპრილის ბრძანება №1-1/629 - ვებგვერდი, 28.04.2011 წ.*

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 14 სექტემბრის ბრძანება №1-1/1800 - ვებგვერდი, 18.09.2012 წ.*

*დანართი №1*

## განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების სავალდებულო ექსპერტიზას დაქვემდებარებული ნაწილების ექსპერტიზის ჩამტარებელ ექსპერტთა რეგისტრაციის მატრიცა შენობა-ნაგებობათა სახეობების და ექსპერტთა საქმიანობის მიხედვით

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 14 სექტემბრის ბრძანება №1-1/1800 - ვებგვერდი, 18.09.2012 წ.*

| სტრუქტურული ინჟინერი | | (სახელი, გვარი) |
|---|---|---|
| № | შენობა-ნაგებობათა სახეობები | |
| 1 | სამოქალაქო და საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობები | |
| 2 | სამრეწველო შენობა-ნაგებობები | |
| 3 | სივრცითი ნაგებობები (ანძები, კოშკები, რეზერვუარები) | |
| 4 | ხიდები და გვირაბები | |
| 5 | საავტომობილო გზები | |
| 6 | რკინიგზები | |
| 7 | აეროდრომები | |
| 8 | ბაგირგზები (საჰაერო, ფუნიკულიორი) | |
| 9 | გაზსადენები და ნავთობსადენები | |
| 10 | მაგისტრალური წყალსადენები და საკანალიზაციო კოლექტორები | |
| 11 | ჰიდროტექნიკური ნაგებობები | |
| 12 | ენერგეტიკული ნაგებობები (მაღალი ძაბვის ელ.გადამცემი ხაზები) | |

| გეოლოგი | | (სახელი, გვარი) |
|---|---|---|
| | საქმიანობის სახეები | |
| 1 | გრუნტების გეოლოგი | |
| 2 | ჰიდროგეოლოგი | |

*დანართი №2*

## ექსპერტობის კანდიდატის სარეგისტრაციო ფორმა

| | |
|---|---|
| გვარი, სახელი | |
| პირადი № | |
| საცხოვრებლის მისამართი | |
| საკონტაქტო ტელეფონი | |
| ელ-ფოსტა | |
| საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული ობიექტის დასახელება და მისამართი | |
| საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული სახეობა | |

| | | |
|---|---|---|
| საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების ნაწილები | | |
| შემთანხმებელ ორგანოში წარსადგენი დოკუმენტები | ა) პირადობის მოწმობის ასლი; | |
| | ბ) პირადი ინფორმაცია (CV); | |
| | გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი, სერტიფიკატები); | |
| | დ) ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ; | |
| | ე) დადასტურებული/დამოწმებული ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ, ობიექტის დასახელების და მისამართის მითითებით; | |
| | ვ) ექსპერტობის კანდიდატის დეკლარაცია, მოწოდებული ინფორმაციის სისწორის შესახებ. | |
| ხელმოწერა | | |
| თარიღი | | |

*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 14 სექტემბრის ბრძანება №1-1/1800 - ვებგვერდი, 18.09.2012 წ.*